



ქედის მუნიციპალიტეტის მერია ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

განყოფილების უფროსი: სოფიო ხაბაზი

ტელ: 599 85 12 21

ელ. ფოსტა: sofio.khabazi@gmail.com

დაუყოვნებლივ გასავრცელებლად

ა ნ ო ნ ს ი

ევროპის დღე ქედაში - „შევეგებოთ ახალ შესაძლებლობებს“

„ევროპის დღეები 2018“ ფარგლებში, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის აჭარის ბიუროს ინიციატივით და ქედის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, ევროპის დღე აჭარის რეგიონში პირველად ქედაში, 8 მაისს, 14 საათზე, ადმინისტრაციული შენობის ეზოში (დაბა ქედა, კოსტავას ქ. N 3), მასშტაბურად აღინიშნება. ღონისძიებას მოწვეული სტუმრები, ადგილობრივი მთავრობის და თვითმმართველობის, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სფეროს და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრებიან.

ღონისძიება სლოგანით „შევეგებოთ ახალ შესაძლებლობებს“ მრავალფეროვანი აქტივობებით გაიმართება (თემატური გამოფენები, მოლბერტზე ხატვა, მოხსენებები, კონცერტი და ა.შ) რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები, ახალგაზრდები, ანსამბლები, წარმატებული ადამიანები და ა.შ. ღონისძიების მიზანია ევროკავშირთან დაახლოების შედეგად გახსნილ ახალ შესაძლებლობებზე, დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებზე საზოგადოების ყურადღების ფოკუსირება და მასშტაბურ აქტივობაში სხვადასხვა პროგრამებში ჩართული სეგმენტის კოორდინირება.

სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოში ევროპის დღეებს უკვე მეექვსედ აღნიშნავს და მიმდინარე წელს 5- 22 მაისს გაიმართება. კამპანიის მიზანი არის საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესისა და აღნიშნულ პროცესში მოსახლეობის ჩართულობის მაქსიმალური ხელშეწყობა. მზარდი ანტი-დასავლური პროპაგანდის ფონზე, მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საკითხზე საზოგადოებასთან ინტენსიური დიალოგი და მოქალაქეების აღნიშნულ

პროცესში აქტიური ჩართვა, რაც თავის მხრივ, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის წინაპირობაა.

ა ნ ო ტ ა ც ი ა



ინფორმაცია მედიისთვის საქართველოში ევროპის დღეები 2018 იწყება!

სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოში ევროპის დღეების აღნიშვნას იწყებს. ევროპის დღეები გახლავთ წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის ფარგლებშიც იმართება საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის საკითხზე მრავალი ღონისძიება.

5 მაისს, საქართველოში ევროპის დღეები 2018 საზეიმოდ გაიხსნება რიყის პარკში, „ევრო სოფლის“ მოწყობით. ევროპის დღეები მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით გაგრძელდება რეგიონებშიც. აჭარის რეგიონში, პარტნიორ ორგანიზაციებთან და უწყებებთან ერთად დაგეგმილია სხვადასხვა ტიპის შემეცნებითი, საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული და სანახაობრივი ღონისძიებები, აგრეთვე შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან.

„ევროპის დღეები 2018“ 22 მაისამდე გაგრძელდება. ღონისძიებები სსიპ-ის „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ და საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ორგანიზებით, წელს მეექვსედ იმართება. ევროპის დღეების მიზანი ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების, მიმდინარე ინტეგრაციის პროცესის შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ჩართულობის გაზრდაა.

ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ქედაში

პ რ ო გ რ ა მ ა

14 საათი - გამოფენა

(თემატურ ნამუშევრებს და პუბლიკაციებს გამოფენენ - არასამთავრობო ორგანიზაცია ქედის ზრდასრულთა და განათლების ცენტრი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი - სენი, ნატოს საინფორმაციო ცენტრი, ქედის NI საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, ქედის რესურსცენტრი, და ქედის კულტურის ცენტრი) პარალელურად ახალგაზრდები გამართავენ მოლბერტზე ხატვას და შეიმუშავენ სლოგანებს, მესიჯებს, ნახატებს და ა.შ.

14:30 საათი - ღონისძიების გახსნა

ანსამბლი „ელესა“, ანსამბლი „ბეთლემი“, ანსამბლი „იაგუნდი“, ახალგაზრდა მუსიკოსები, ინდივიდუალური შემსრულებლები, სიტყვით გამომსვლელები.

წარმატებული სპორტსმენების და ევროპაში მოღვაწე წარმატებული სტუდენტების წარდგენა.

16 საათი - ღონისძიების დახურვა

ახალგაზრდების მიერ შემუშავებული სლოგანებისა და გზავნილების წარდგენა, ფრანებისა და ბუმტების გაშვება.